„თვითმმართველი ქალაქ ქუთაისის მერიის ეკონომიკისა და ინფრასტრუქტურის განვითარების საქალაქო სამსახურის საბინაო ფონდის მართვისა და რეგულირების განყოფილების საკუთრების უფლების მოწმობაში /2007წ. 10.09 N834/“ დაშვებული ტექნიკური შეცდომის გასწორების შესახებ

ქ.ქუთაისის მერიაში განხილული იქნა ქ.ქუთაისში, სულხან–საბას გამზირი N35 საცხოვრებელი სახლის N49 ბინაში მცხოვრები მოქალაქე თენგიზ მუშკუდიანის განცხადება /2011წ. 08.11 Nმ–8832/, რითაც ითხოვს „თვითმმართველი ქალაქ ქუთაისის მერიის ეკონომიკისა და ინფრასტრუქტურის განვითარების საქალაქო სამსახურის საბინაო ფონდის მართვისა და რეგულირების განყოფილების საკუთრების უფლების მოწმობაში /2007წ. 10.09 N834/“ დაშვებული ტექნიკური შეცდომის გასწორებას.

„ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“, საქართველოს ორგანული კანონის 39–ე მუხლის მე–3 პუნქტის „ო“ ქვეპუნქტის, $65^2$ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59–ე მუხლის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. გასწორდეს ტექნიკური შეცდომა „თვითმმართველი ქალაქ ქუთაისის მერიის ეკონომიკისა და ინფრასტრუქტურის განვითარების საქალაქო სამსახურის საბინაო ფონდის მართვისა და რეგულირების განყოფილების საკუთრების უფლების მოწმობაში /2007წ. 10.09 N834/“ და ნაცვლად მითითებული საცხოვრებელი ბინის მისამართისა „სულხან–საბას გამზირი N35/45“, იკითხებოდეს – „სულხან–საბას გამზირი N35/49“.

2. ბრძანების შესრულების კონტროლი განახორციელოს ქ.ქუთაისის მერის მოადგილე ი.ჯიქიამ.

3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით, ქ.ქუთაისის საკრებულოსა /რუსთაველის გამზირი N3/ და ქუთაისის საქალაქო სასამართლოში /ვიქტორ კუპრაძის ქუჩა N11/, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

4. ბრძანება ძალაში შედის კანონით დადგენილი წესით.

ქალაქ ქუთაისის მერი — გ.თევდორაძე